

ლევან ბრეგაძე  
(საქართველო)

### შოთა რუსთაველი უტილიტარისტების წინააღმდეგ

„ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გვხვდება გვერდიგვერდ სიტყვები „ლხინი“ და „ჭირი“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ანტინომიურ მოვლენათა ურთიერთმიმართებას ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს:

მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს,  
ნუცა **ლხინსა** აუზავდეს, ნუცა **ჭირსა** შეუზარდეს.  
(რუსთაველი 1986: 12)

მისთვის **ჭირი ლხინად** უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს.  
(რუსთაველი 1986: 12)

ვპოვეთ მთვარე დაკარგული, რაცა გვწადა, იგი ვქმენით,  
ან გავხედით ბედისაგან ცეცხლთა შრეგით, **ჭირთა ლხენით!**  
(რუსთაველი 1986: 425)

მაგრა თუ **ჭირსა** არ დასთმობ, **ლხინი** რა დასათმობია!  
(რუსთაველი 1986: 311)

ბრძანა: „**ჭირი** დავივინყოთ, რათგან **ლხინი** დაგვებადა“.  
(რუსთაველი 1986: 510)

უფრო ვრცელი კონტექსტიც ვნახოთ, სადაც „ლხინი“ და „ჭირი“ ერთად იხსენიება:

გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი,  
გული – ჟამ-ჟამად ყოველთა **ჭირთა** მთმო, **ლხინთა** მნდომელი,  
გული – ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი,  
ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი!  
(რუსთაველი 1986: 225)

და ა. შ. და ა. შ. და ა. შ.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მისთვის უმნიშვნელოვანეს აზრებს რამდენჯერმე იმეორებს – ხშირად ორჯერ, ხანდახან კი – სამჯერაც. ლხინისა და ჭირის დიალექტიკა, რომელიც მას, როგორც მთელი პოემიდან ჩანს,

ძალიან აინტერესებს, აფორიზმის ფორმით სამგზის არის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანში“:

1) მაშა **ლხინსა** ვინ მოიმკის პირველ **ჭირთა** უმუშაკო.  
(რუსთაველი 1986: 285)

2) მაშინ **ლხინი** ამო არის, რა გარდისხდის კაცი **ჭირსა**.  
(რუსთაველი 1986: 476)

3) ყოლა **ლხინთა** ვერ იამებს კაცი **ჭირთა** გარდუხდელი.  
(რუსთაველი 1986: 510)

პირველი მათგანი („მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო“) იმ სტროფიდან არის, რომელიც მოსდევს პარაბოლას ვარდისა და ეკლის შესახებ, რომელსაც ავთანდილი იყენებს მეგობრის, ტარიელის, დეპრესიიდან გამოყვანის პროცესში. ვარდმა შეკითხვას, ესოდენ ტურფა არსება ეკლიანი რატომ ხარ, შენი მოპოვება რატომ არის ძნელიო, ასე უპასუხა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად: ოდეს ტურფა გაიფედეს, აღარა ღირს არცა ჩირად“ (რუსთაველი 1986: 285).

ვარდის ამ პასუხის კომენტირებისას წარმოთქვამს ავთანდილი ლხინისა და ჭირის ურთიერთმიმართების გამომხატველი აფორიზმის პირველ ვერსიას:

რათგან ვარდი ამას იტყვის, უსულო და უსაკო,  
**მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო?**  
(რუსთაველი 1986: 285)

აზრი ეს არის: **გასაჭირის დაუძლეულად ლხინს ვერ ეწევი**, რაც ასე უნდა გავიგოთ: **ლხინის (ბედნიერების) მისაღწევი გზა ძნელი გასაფლელია, იგი ჭირთა თმენა-დაძლევაზე გადის**.

მეორედ ამ აზრის შემცველი აფორიზმი გვხვდება თავში „სამთაგანვე ქვაბსა მისლვა და მუნით არაბეთს წასლვა“. როსტევეანმა და ავთანდილმა დიდი ხნის განშორების შემდეგ კვლავ გაიხარეს ერთმანეთის ხილვით:

მეფე ყელსა ეხვეოდა მას ლომსა და ვითა გმირსა,  
ახლოს უზის, ეუბნების, აკოცებს და უჭვრეტს პირსა;  
იგი მზე და ხელმწიფობა ასრე მიჰხვდა, ვითა ღირსა.  
**მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდისხდის კაცი ჭირსა!**  
(რუსთაველი 1986: 476)

ოდნავ მოდიფიცირებული სახით ამავე აზრის გამომხატველ აფორიზმს ვხვდებით თავში „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“:

ტარიელს და ცოლსა მისსა მიჰხვდა მათი სანადელი –  
შვიდი ტახტი სახელმწიფო, საშვებელი გაუცდელი.  
მათ პატიჟთა დაავინყებს ლხინი ესე აწინდელი,  
**ყოლა ლხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუხდელი!**  
(რუსთაველი 1986: 510)

ამ აფორიზმების სათქმელის ჩამოყალიბება ასე შეიძლება: ლხინს გემოს ვერ ჩაატან, თუ ჯერ ჭირი არ იგემე. ანუ: გაუჭირვებლადაც რომ შეიძლებოდეს ლხინამდე მიღწევა (ბედნიერების მოპოვება), მაინც გასაჭირის დაძლევით ჯობს იქამდე მისვლა, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩავატანთ გემოს მას. ანუ, ერთი ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზით თუ ვიტყვით, რომც არ არსებულებოდა ჭირი, იგი უნდა გამოგვეგონებინა.

\* \* \*

უტილიტარიზმი (ლათინური სიტყვიდან utilis – სასარგებლო) იმ მოძღვრებათა რიგს განეკუთვნება, რომლებიც, ერთი შეხედვით, სალი აზრის პოზიციიდან, მართებულნი ჩანან, მაგრამ „ახლოით განჩხრეკისას“ კრიტიკას ვერ უძლებენ. უტილიტარიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია ინგლისელი ფილოსოფოსი ჯერემი ბენტამი (1748-1832). იგი ბედნიერებას ასე განსაზღვრავს: „სიამოვნების მაქსიმალიზაცია და ტკივილის მინიმალიზაცია ან, კიდევ უკეთესი, ელიმინაცია“ (შმიდი 2007: 18).

ვნახოთ, რას წერს ამის თაობაზე თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსი, ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფიის ახლად დამფუძნებელი, ვილჰელმ შმიდი:

„[ბედნიერების] ის განმარტება, რომელმაც მოდერნის ეპოქაში ძლიერი ზეგავლენა მოახდინა, უტილიტარისტებისაგან მომდინარეობს: მათი აზრით, ბედნიერება არის სიამოვნების მაქსიმალიზაცია და ტკივილის ელიმინაცია (გამორიცხვა). თანამედროვე ადამიანებმა ეს იმდენად გაითავისეს, რომ თავიანთ „თვითრეალიზებას“ ამასთან აიგივებენ. სიამოვნებას გადაყოლილი თანამედროვე საზოგადოება წარმოუდგენელია ამგვარად გაგებულ ბედნიერებისაკენ სწრაფვის გარეშე. სამწუხაროდ, ეს განმარტება სერიოზული ნაკლოვანებების შემცველია: სიამოვნების არსებითი თვისება ის არის, რომ დიდხანს არ გრძელდება; ყველას შეუძლია ამაში თვითონ დარწმუნდეს. სიამოვნების იმ ზომით მაქსიმალიზებას, რომ ყველაფერი მხოლოდ „სიამოვნებას განიჭებდეს“, ერთადერთი შედეგი მოჰყვება: სულ უფრო და უფრო გაგიჭირდება სიამოვნების მიღება და საბოლოოდ სრულიად დაკარგავ სიამოვნების განცდის უნარს. ბედნიერების თანამედროვე განმარტების მეორე ნაწილიც პრობლემატურია: ტკივილების გამორიცხვის დაჟინებულ სურვილს მარტო ის შედეგი კი არ ექნება, რომ სიამოვნების საწინააღმდეგო განცდა დაგვაინყდება, არამედ ცხოვრებაში ორიენტირების უნარს დაგვკარგავთ

– ვინაიდან ტკივილი ის ეკალია, რომელიც ცხოვრებაზე დაფიქრებას გვაძლევს“ (შმიდი 2003: 11).

„ვეფხისტყაოსნის“ ზემოციტირებული აფორიზმები უმნიშვნელოვანეს აზრს შთაგვაგონებენ, კერძოდ, იმას, რომ ცხოვრება ნამდვილად მშვენიერი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როდესაც ლხინი და ჭირი ერთმანეთს აბალანსებენ.

კვლავ ვილჰელმ შმიდს მოვუსმინოთ, კერძოდ, გავეცნოთ მის შეხედულებას იმის თაობაზე, თუ რაგვარ ცხოვრებას შეიძლება ეწოდოს მშვენიერი:

„მშვენიერების ნამდვილი ძალა არსებობის სრულქმნაში, ზედაპირულ მოკრიალებასა და ჰარმონიზებაში კი არ მდგომარეობს, არამედ იმის შესაძლებლობაში, რომ ამ არსებობის მიმართ ჰოობა (დასტური) გვეთქმოდეს. ჰოს თქმის (დასტურის) ღირსი კი არავითარ შემთხვევაში არ არის მხოლოდ ის, რაც სასიამოვნო, სახალისო ან, როგორც მე-20 საუკუნეში უყვარდათ თქმა, „პოზიტიურია“ – ასევე ჰოს თქმის (დასტურის) ღირსია ისიც, რაც უსიამოვნო, მტკივნეული, „ნეგატიურია“ – რადგანაც ამან შესაძლოა უფრო ღრმა გამოცდილება შეგვიძინოს და ამით ჩვენს წინსვლას შეუწყოს ხელი. „მშვენიერი“ ნარუმატებლობასაც, ხელის მოცარვასაც მოიცავს, მთავარი ის არის, მთლიანობაში ცხოვრება გვეჩვენება თუ არა მისაღებად, ჰოს თქმის (დასტურის) ღირსად“ (შმიდი 2003: 11).

როგორც ვხედავთ, ლხინისა და ჭირის ურთიერთმიმართების ეს ურთულესი საკითხი, რომელიც დღეს კიდევ უფრო აქტუალურია, ვიდრე წარსულში იყო (თუნდაც იმის გამო, რომ ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები გამრავალფეროვნდა და ადვილად ხელმისწვდომი გახდა), რუსთაველთან ზუსტად ისე არის გადაჭრილი, როგორც ამას თანამედროვე პროგრესული ფილოსოფიური აზრი მოითხოვს.

მშვენიერი ცხოვრების სინონიმად ვილჰელმ შმიდი იყენებს ცნებას „სისხლსავსე ცხოვრება“ („Erfülltes Leben“) და მას ასე განმარტავს:

**„სისხლსავსე ცხოვრების ბედნიერება**, რომელიც ბედნიერების ფართო გაგებას გულისხმობს, აუცილებლად ის როდია, რასაც იოლ ცხოვრებას უწოდებენ, ეს უფრო ისეთი ცხოვრებაა, რომელიც აღსავსეა დაძლევადი სიძნელებით, წინააღმდეგობებით, სირთულეებით, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებებით, კონფლიქტებით, რომლებიც უნდა მოაგვარო ან რომელთაც უნდა გაუძლო – აღსავსეა ყოველივე იმით, რაც ჩვეულებრივ კარგ ცხოვრებად და ბედნიერებად არ ითვლება. ამგვარი ბედნიერება ცხოვრების დაბალანსების (ausbalancieren) მცდელობაა; არა სიამეთა მაქსიმალიზაცია, არამედ მათი მხოლოდ იმ ზომით რეალიზება, რომ ეს დამანგრეველი კი არა, სასარგებლო აღმოჩნდეს ინდივიდუუმისა და სხვებთან მისი ურთიერთობებისათვის; ყოველი ტკივილი კი არ უნდა გამოირიცხოს, არამედ ზოგიერთი უნდა მივიღოთ კიდევ, ტკივილი და სიამოვნება შესაბამისობაში

მოვიყვანოთ ერთმანეთთან, დავაბალანსოთ ისინი, ოღონდ არა ცხოვრების ყოველ მომენტში, არამედ მთელი ცხოვრების განმავლობაში“ (შმიდი 2003: 11).

ამ უაღრესად მნიშვნელოვან მსჯელობაში, რომელიც ადამიანის მიერ ლხინისა და ჭირის მართვას შეეხება, თანამედროვე ფილოსოფოსი, როგორც ვნახეთ, იყენებს ცნებას „დაბალანსება“ – „ტკივილი და სიამოვნება შესაბამისობაში მოვიყვანოთ ერთმანეთთან, დავაბალანსოთ ისინი“. სწორედ ამ ცნებას მოიშველიებს რუსთაველიც ამავე საკითხზე მსჯელობისას, ოღონდ მის ქართულ შესატყვისს, უფრო ზუსტად – შესატყვისებს, იყენებს:

„შენი ყველა აქამდისი **ჭირი ლხინსა გაათავნე**“, სწერს ფატმანი ნესტანს, როდესაც ტარიელის გამოჩენის ამბავს ატყობინებს მას (რუსთაველი 1986: 404), ანუ: რაც აქამდე ჭირი გინახავს ამ ლხინით დაბალანსეო,

და

„ჩემი ყველა აქამდისი **ჭირი ლხინსა შევანონე**“, სწერს ნესტანი ტარიელს (რუსთაველი 1986: 410), იგი თითქმის ზუსტად იმეორებს ფატმანის სიტყვებს, იმ განსხვავებით, რომ „გათავნეს“ მისი სინონიმით ცვლის – „შევანონე“.

„გათავნება“ და „შევანონება“ დაბალანსების ძველი ქართული შესატყვისებია.

„შევანონება“ აწონვასთან, სასწორთან და წონასწორობასთან რომ არის დაკავშირებული, სავსებით ცხადია, ისევე, როგორც „დაბალანსება“ (balance – ფრანგულად სასწორია).

ლექსიკონთა მონაცემები ასეთია:

„**შენონა** – შეთანასწორობა“ (აბულაძე 1973: 497);

„**შენონა, შენონება** – [...] შეგინონ, ე. ი. შეგიფარდებ, [...] შევეუდარებ, შევეუტოლებ“ (ჩუბინაშვილი 1984: 1501).

რაც შეეხება „გათავნებას“, მისი ფუძეა **თავნ-**ი, რაც გასესხებული ან საბრუნავი კაპიტალის **ძირითად თანხას** ნიშნავს (ქეგლ 1955: 266), „გათავნება“ კი თავნის აღებაა – დანახარჯისა და ამონაგების გათანაბრება, მათი დაბალანსება:

„გათავნებს – [...] 1. თავნს აიღებს. რაიმეს ტოლს გახდის, – **გათავნება**“ (ქეგლ 2010: 35), და იქვე სანიმუშოდ დამონმებულია ჩვენ მიერ უკვე ციტირებული აფორიზმი „ვეფხისტყაოსნიდან“: „შენი ყველა აქამდისი **ჭირი ლხინსა გაათავნე**“.

რუსთაველისთვის ესოდენ აქტუალურ ამ საკითხზე მსჯელობის დაგვირგვინებად კი ავთანდილის ეს შეგონება გამოდგება, თავის თავს რომ ეუბნება ტარიელის დასახმარებლად წასვლის წინ:

**თუ ლხინი გვინდა ღმრთისაგან, ჭირიცა შევიწყნაროთა!**

(რუსთაველი 1986: 227)

„ვეფხისტყაოსნის“ მკვლევრის, თამაზ ვასაძის, კომენტარი ავთანდილის ამ (თვით)შეგონების გამო ასეთია: „ეს გონების თვალთ დასახული

ჭეშმარიტებაა, რომელიც მიუნვდომელია „გულისთვის“, მუდამ სიხარული რომ სწყურია და „ჭირს“ ერიდება“ (ვასაძე 2011: 323).

ავთანდილის ეს მსჯელობა, ცხადია, უტილიტარისტებს არ მოეწონებათ! თამაზ ვასაძის შეხედულება ტანჯვის („ჭირის“) ფუნქციაზე „ვეფხისტყაოსანში“ (და ცხოვრებაში) სრულ თანხმობაშია ვილჰელმ შმიდის ზემოთ გადმოცემულ თვალსაზრისთან. მოვუსმინოთ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული შინაარსის მკვლევარს:

„ეს საზრისი (ტანჯვის საზრისი. – ლ. ბ.) გახსნილია ვარდის იგავში – ტანჯვა აუცილებელია, რათა არ მოხდეს ფასეულობების გაუფასურება; ფასეულობები ძალას და ნამდვილობას იძენენ იმ წინააღმდეგობების დაძლევის, რომლებიც მათ მოპოვებას აძნელებენ: „მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად, ოდეს ტურფა გაიფოდეს, აღარა ღირს არცა ჩირად“; ბედნიერებაც, რათა დიდი და ჭეშმარიტად ღირებული იყოს, ტანჯვის გამოვლით მიიღწევა: „მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო?“ [...] თუმცა ავთანდილის მსჯელობაში ღმერთი არ იხსენიება, არსებითად ეს არის თეოდიცეა, ღმერთის სიკეთის და სამყაროში არსებული ტანჯვის შეთავსებადობის ახსნა. მისი ორიგინალურობა იმით განისაზღვრება, რომ რუსთაველი ღმერთის მიერ სამყაროში ტანჯვის არსებობის დაშვებას ადამიანის ყოფიერების ნამდვილ ფასეულობათაგან დაცლის და სულიერად გაღარიბების, გაუბრალოების გამომრიცხავ აუცილებლობად სახავს“ (ვასაძე 2011: 340).

უაღრესად მნიშვნელოვანია მკვლევრის შენიშვნა იმის თაობაზე, თუ რა განასხვავებს ტანჯვაზე („ჭირზე“) ავთანდილის ამ შეხედულებას ტრადიციული ქრისტიანული შეხედულებისგან:

„ავთანდილის თვალსაზრისი ტანჯვაზე განსხვავებულია ტრადიციული რელიგიური თვალსაზრისისაგან, რომლის მიხედვითაც ცოდვათაგან განმნმენდი ტანჯვით მოიპოვება უმაღლესი იმქვეყნიური ფასეულობა – სასუფეველი. რუსთაველის პოემაში ტანჯვა ცოდვებისგან გათავისუფლების და სასუფეველის მოპოვების გზა კი აღარ არის, არამედ **ამქვეყნიური ბედნიერების მოპოვების გზაა, მიწიერი ბედნიერების საფასურია**“ (ვასაძე 2011: 340. ხაზგასმა ჩვენი. – ლ. ბ.).

როგორც ვნახეთ, რუსთაველის კონცეფცია ლხინისა და ჭირის ურთიერთმიმართების საკითხზე ზუსტად ემთხვევა ვილჰელმ შმიდის თვალსაზრისს. რუსთაველის შეხედულებაც ზუსტად ისევე ეწინააღმდეგება უტილიტარისტების მრწამსს, როგორც ჩვენი თანამედროვე ფილოსოფოსის, ცხოვრების ხელოვნების ფილოსოფიის ახლად დამფუძნებლის, ვილჰელმ შმიდის თვალსაზრისი ამის შესახებ.

**დამონებანი:**

- Abuladze, Ilia. *Dzveli Kartuli Enis Leksik'oni*. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1973 (აბულაძე, ილია. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973).
- Chubinashvili, Davit. *Kartul-rusuli Leksik'oni*. Tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“: 1984 (ჩუბინაშვილი, დავით. *ქართულ-რუსული ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984).
- Kegl – Kartuli Enis Ganmart'ebiti Leksik'oni*, t'. 4. Tbilisi: Sakartvelos SSR metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba, 1955 (*ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ტ. 4. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955).
- Kartuli Enis Ganmart'ebiti Leksik'oni*. Akhali Redaktsia, t'. 2. Tbilisi: gamomtsemloba "meridiani", 2010 (*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ახალი რედაქცია, ტ. 2. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010).
- Rustaveli, Shota. *Vepkhistq'aosani*. T'ekst'i Gamosatsemad Moamzada, Ganmart'ebani, K'oment'ari da Bolositq'vaoba Daurto N. Natadzem. Tbilisi: gamomtsemloba "ganatleba", 1986 (რუსთაველი, შოთა. *ვეფხისტყაოსანი*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, განმარტებანი, კომენტარი და ბოლოსიტყვაობა დაურთო ნ. ნათაძემ. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1986).
- Schmid, Wilhelm. Tskhovrebi Khelovnebis Sk'ola. Germanulidan targmna Levan Bregadzem. *Chveni Mts'erloba*, 17.-23. 01. 2003, №2 (132), გვ. 10-11. (შმიდი, ვილჰელმ. „ცხოვრების ხელოვნების სკოლა“. გერმანულიდან თარგმნა ლევან ბრეგაძემ. *ჩვენი მწერლობა*, 17.-23. 01. 2003, №2 (132), გვ. 10-11).
- Schmid, Wilhelm. *Glück*. Frankfurt am Main und Leipzig: Insel Verlag, 2007.
- Vasadze, Tamaz. „Tanaziaroba – „Vepkhistq'aosnis“ Mkhat'vruli Shinaarsis K'oment'erebi. Ts'ignshi: Shota Rustaveli. *Vepkhistq'aosani*. T'eqst'is K'oment'arebis da Analit'ik'uri Gzamkvlevis Avt'ori Tamaz Vasadze. Tbilisi: gamomtsemloba "diogene“, 2010 (ვასაძე, თამაზ. „თანაზიარობა – „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული შინაარსის კომენტარები“. ნიგში: შოთა რუსთაველი. *ვეფხისტყაოსანი*. ტექსტის კომენტარების და ანალიტიკური გზამკვლევის ავტორი თამაზ ვასაძე. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2011).

**Levan Bregadze**  
(Georgia)

**Shota Rustaveli Against the Utilitarians**

**Summary**

**Key words:** Rustaveli, utilitarians, happiness, joy, woe, balance.

In this paper three aphorisms from Shota Rustaveli's epic poem "The knight in the panther's skin" are analyzed:

1) "Who then can harvest joy who hath not first travailed with woe?" (Translation by Marjory Scott Wardrop).

2) “Then is joy pleasant, when a man hath passed through grief” (Translation by Marjory Scott Wardrop).

3) “A man unacquainted with sorrow cannot find pleasure in joy” (Translation of Marjory Scott Wardrop).

The meaning of these aphorisms can be summarized in this way: joy cannot be fully enjoyed, unless you have experienced woe (grief, sorrow). Or: if it is even possible to come to joy (to obtain joy) without hard work or grief, it is anyway better to come to it in overcoming the woe because only in that case can we fully enjoy it.

This point of view opposes the utilitarian understanding of happiness, which is thus defined: “Happiness is maximization of pleasure and minimization or, even better, elimination of pain”.

This view, that was invented in the 18<sup>th</sup> century by one of the founders of utilitarianism, the English philosopher Jeremy Bentham, appears to be right at the first glance and has still today great influence on the way of life of people. But if observed closely, it does not stand up to criticism, as we can see in the work about happiness by the German philosopher Wilhelm Schmid (Wilhelm Schmid. Glück. Frankfurt am Main und Leipzig: Insel Verlag, 2007).

According to the contemporary German philosopher, the new founder of the philosophy of life, Wilhelm Schmid:

“Unfortunately, this definition has crucial weak points: The essential characteristic of pleasure is that it does not last; everyone can experience this in their own life. Wanting to maximize the pleasure until everything just “makes pleasure” has only one consequence: to miss it more and more to the point of being unable to find pleasure. And the other part of the definition of the modern happiness is also problematic: wanting to consistently switch off pain results not only in your no longer knowing the contrast to pleasure, but also losing orientation in life – because pain is the sting that time and again makes us to think about the entire life.” (Wilhelm Schmid. Schule der Lebenskunst. Tbilisi: 2003).

The above cited aphorisms of “The knight in the panther’s skin” inspire a most important idea, namely, that life can only be really beautiful, if the joy and the woe balance each other.

Let us see now the point of view of Wilhelm Schmid about what kind of life can be called beautiful:

“The real power of beauty does not lie in perfecting, superficially smoothing and harmonizing existence, but in the possibility of affirming it. Not only can the pleasant, pleasurable or, as it was often called in the late 20<sup>th</sup> century, “positive” be affirmative, but also the unpleasant, painful, “negative” – because it can give us a deeper experience that takes us further. The beautiful also includes the failure, it is crucial whether life as a whole appears to be affirmative.” (Wilhelm Schmid. Schule der Lebenskunst. Tbilisi: 2003).

As we can see, the difficult question of relationship between woe and joy, that is even more relevant today than it was in the past, is at Rustaveli solved in exactly the same way, as is demanded by the modern progressive philosophical thinking.



Wilhelm Schmid uses fulfilled life (“erfülltes Leben”) as synonym of beautiful life and he defines it as follows:

“*Happiness of a fulfilled life*, which means a comprehensive experience of fullness: It is not necessarily what is called an easy life, but rather one that is full of difficulties that have to be overcome; full of resistance, complications, deprivation, conflicts that are to be fought out or endured – everything that is not generally considered good life and happiness. This happiness is an attempt to balance the life, not to maximize pleasure, but to realize the measure that is thriving and not ruinous for the self and its relationship with others; not to eliminate every pain, but to accept some of them too; moreover, to bring pain and pleasure to one another in relation and to balance them, not in every moment of life, but throughout the life.” (Wilhelm Schmid. *Schule der Lebenskunst*. Tbilisi: 2003).

In this very important discussion, that is about the managing of woe and joy by humans, the modern philosopher uses, as we have seen, the term of “balancing” – “to bring pain and pleasure to one another in relation and to balance them”. Rustaveli uses the old Georgian equivalents exactly of the same terms in the discussion about the same question (gaatavne, shevatson).

Very important is the remark of Tamaz Vasadze, a researcher of “The Knight in the Panther’s Skin”, that “the point of view of Avtandil about woe is different from the traditional religious point of view, according to which the highest value after the death – the paradise is to be gained by the sin cleaning pain. In the poem of Rustaveli the woe is not the way to free oneself from sins and to gain the paradise, but the way to gain the happiness in this world; it is the price for worldly happiness”.

Thus, the concept of Rustaveli about the relationship of woe and joy matches exactly the point of view of Wilhelm Schmid. The point of view of the poet of the 12<sup>th</sup> century opposes the conviction of the utilitarians exactly in the same way, as the point of view of our contemporary philosopher does.